ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3243357

ნომერი: AR1499719

თარიღი : 30.04.2017

გაცემის თარიღი : 04.05.2017

გაცნობის თარიღი : 05.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 29 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავ-ხოშტარია , N 32 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ლომიძე პ/ნ 01017012213
- თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 43ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. N29 / ერისთავ-ხოშტარიას ქ. N32-ში მდებარე შენობაზე ლითონის ცხაურების მოწყობას. გაცნობებთ, რომ "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.016წ. N14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე- 10 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ღიობების დამცავი საშუალებები (ჟალუზების, გისოსების და სხვა) უნდა მოეწყოს ერთიანი პროექტის საფუძველზე, მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტით. წარმოდგენილი ფოტომონტაჟით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, შენობის ერთ სართულზე ცხაურების/გისოსების მოწყობა არ არის დასაშვები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილდეს თქვენი 30.04.2017წ. NAR1499719 განცხადება ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. N29 / ერისთავ-ხოშტარიას ქ. N32-ში მდებარე შენობაზე ლითონის ცხაურების მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.